დაიჯესტი

31 იანვარი - 6 თებერვალი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

29 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტა განაცხადა, რომ დააპატიმრეს ამერიკელი ქალი, ელისონ ფლუკე, რომელიც გახდა ისლამური სახელმწიფოს ბატალიონის მეთაური და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაეშის საქმიანობაში. მას ბრალად ედება ტერორისტული ორგანიზაციისთვის მატერიალური დახმარების გაწევა. გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ დაკითხული მოწმის მიხედვით, ფლუკემ და მისმა მეუღლემ, რომელიც საჰაერო თავდასხმის დროს დაიღუპა, 15 000 დოლარის ოდენობის იარაღი შეიძინეს ორგანიზაციისთვის.

30 იანვარს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მოუწოდა თალიბანს გაეთავისუფლებინათ ამერიკელი მძევალი, მარკ ფრერიჩსი. 59 წლის ამერიკელი საზღვაო ძალების ვეტერენი, ავღანეთში მუშაობდა მდგრადი განვითარების პროექტებზე. ფრერიჩსი ტყვედ აიყვანეს 2020 წელს - ერთი თვით ადრე ჯარების გაყვანის შეთანხმებამდე.

3 თებერვალს, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ინფორმაცია გაავრცელა სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ერთობლივი სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში დაეშის მეორე ლიდერის, ხალიფა აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშიში ალ-კურაიშის ლიკვიდაციის შესახებ.

ევროკავშირი

3 თებერვალს, ევროპის კავშირმა ე.წ. ტერორისტთა „შავი სია“ გაზარდა. განახლებულ სიაში 13 პირი და 21 ჯგუფია, რომლებსაც ევროკავშირი აქტივებს გაუყინავს.

არაბთა გაერთიანებული საამიროები

31 იანვარს, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა თავიდან აიცილა იემენის ჰუსიტი ტერორისტული ჯგუფების მიერ გასროლილი ბალისტიკური რაკეტა. აღსანიშნავია, რომ შეტევის დროს აბუ-დაბიში იმყოფებოდა ისრაელის პრეზიდენტი, ისააკ ჰერცოგი, რომელიც უსაფრთხოებისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის საკითხების განსახილველად იყო ჩასული პრინც შეიხ მუჰამედ ბინ ზაიდ ალ ნაჰაიანთან. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ერაყი

31 იანვარს, ერაყის სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაადასტურა დაეშის ლიდერის მკვლელობა ბაღდადის ჩრდილოეთში. ოფიციალური განცხადების თანახმად, ადვან ფაჰრან ჯაფალის იდენტიფიკაცია დნმ-ის ტესტის საშუალებით მოხდა.

ჩრდილოეთ ერაყში, უსაფრთხოების ოფიცრების, ადგილობრივი ლიდერებისა და მაცხოვრებლების განცხადებით, დაეშის მებრძოლები მთავარი ანკლავის დაკარგვიდან 3 წლის შემდეგ კვლავ საფრთხეს წარმოადგენენ, რაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებით არის განპირობებული.

სირია

3 თებერვალს, თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჩრდილოეთ სირიაში, თურქეთის სამხედრო ძალებმა 43 ქურთი მებრძოლი გაანეიტრალეს, ქალაქ ალ ბაბში მომხდარი აფეთქების საპასუხოდ, რომელსაც ცხრა ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ლიბანი

უშიშროების უწყების განცხადებით, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქ ტრიპოლიდან სულ მცირე 48 ახალგაზრდა გაუჩინარდა. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა ახალგაზრდები ერაყში დაეშს შეუერთდნენ.

იემენი

2 თებერვალს, ახალი ამბების არხის ‘Al-Arabiya“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არაბთა გაერთიანებული საამიროების დიპლომატებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს კიდევ ერთხელ მოუწოდეს ჰუსიტების მოძრაობა ხელახლა გამოაცხადოს ტერორისტულ ორგანიზაციად.

ბურკინა-ფასო

2 თებერვალს, ბურკინა ფასოს სამხედრო ხუნტის ლიდერმა, ვიცე-პოლკოვნიკმა პოლ-ჰენრი

დამიბამ საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა მხარი დაუჭირონ სამხედრო მოძრაობას ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შრი ლანკა

პირველ თებერვალს, იურისტთა საერთაშორისო კომისიამ მოთხოვა შრი-ლანკის მთავრობას გაეუქმებინა უსაფრთოების აქტი, რომელიც უკავშირდება ტერორიზმის პრევენციის საკითხებს. კომისიის განმარტებით, აღნიშნული აქტი საშუალებას აძლევს უსაფრთხოების ძალებს ეჭვის საფუძველზე შეზღუდონ სამოქალაქო თავისუფლებები.